საქმე №1/1136-19 (N069251119002)

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

საქართველოს სახელით

23 აპრილი 2020 წელი

ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლე თათია გოგოლაური
სხდომის მდივანი ლუცია ნამგალაძე

ბრალდების მხარე:
პროკურორი - გ-------- ტ---–---

დაცვის მხარე:
ბრალდებული - **დ------ ნ---------- ძე კ---------- -** დაბადებული 1----––----------–---, საქართველოს მოქალაქე, პირადი №6----------, ს–-------–-- განათლებით, ნასამართლობის მქონე, მცხოვრები: ქუთაისი, ნ----------;

ადვოკატი - ე--- ნ--------

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

დისპოზიცია: ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, არაერთგზის.

სხდომის სახე - ღია

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლომ დაადგინა:

2019 წლის 25 ნოემბერს დღის საათებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზ---

----------– არსებულ სასაფლაოზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 14 ივნისის განაჩენით ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარისათვის ნასამართლევი დ----- კ---------- ქონების განადგურებით დაემუქრა დედას - დ-------- ბ—---. კერძოდ უთხრა, რომ მანქანას დაუწვავდა, რის შედეგადაც დ-------- ბ—----- გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. მტკიცებულებათა ერთობლიობა და სამართლებრივი შეფასება:

სასამართლომ, მხარეთა უშუალო მონაწილეობით განიხილა საქმე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გარდა ბრალდებულ **დ------ კ----------** აღიარებისა, სახეზეა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა (დაზარალებულ დ-------- ბ—----- გამოკითხვის ოქმი, მოწმეების: ნ--------- კ----------, მ---- ფ-------, გ------- ბ----- - და დ------ თ---------- გამოკითხვის ოქმები, დ------ კ---------- ნასამართლობის ცნობა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 14 ივნისის განაჩენი, შემაკავებელი ორდერი თანდართულ მასალებთან ერთად და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა) ერთობლიობა **დ------ კ----------** დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებები არ გამოკვლეულა, ვინაიდან ისინი მხარეებს არ გაუხდიათ სადავოდ და საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, მათ მიენიჭათ პრეიუდიციული მნიშვნელობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

სასამართლომ განიხილა რა სისხლის სამართლის საქმე, შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და დადასტურებულად მიიჩნია **დ------ კ----------** მიერ ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენა. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ **დ------ კ----------მ ჩაიდინა: ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, არაერთგზის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და „დ" ქვეპუნქტებით.**

3. სასჯელისა და სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება:

სასამართლო განმარტავს, რომ სამოსამართლო სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა წარმოადგენს. დანაშაულის დისპოზიციური შემადგენლობის დადგენის შემდეგ აუცილებელია ადეკვატური და დანაშაულის თანაზომიერი სასჯელის განსაზღვრა კონკრეტული ქმედებისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით - მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

სასჯელის სამართლიანობა სასამართლომ უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თითოეული ჩადენილი ქმედება და მისი ჩამდენი პირი თავისი ინდივიდუალობით გამოირჩევა, შესაბამისად, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან.

საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულ **დ------ კ-------** პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ

მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების უზრუნველსაყოფად **დ------ კ----------** მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საპატიმრო სასჯელი, ვინაიდან არასაპატიმრო სასჯელი ვერ იქნება დანაშაულის ადეკვატური და პროპორციული, რათა ბრალდებულმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება და გამოიტანოს სათანადო დასკვნები, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც წარსულში ბრალდებულს ანალოგიური ხასიათის ქმედების ჩადენისათვის სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა. არაადეკვატური, არაგონივრულად ლმობიერი სასჯელის გამოყენებამ კი შესაძლოა წარმოშვას დაუსჯელობის გრძნობის განვითარების რისკი. აღნიშნულიდან გამომდინარე **დ------ კ----------ს განაჩენთა ერთობლიობით** საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა **1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით**, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებთან.

სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის განაჩენით დ------ კ----------** ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით**.** საქმეში წარმოდგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს 2019 წლის 27 ნოემბრის მომართვით კი ირკვევა, რომ **დ------ კ----------ს** განაჩენით დაკისრებული ჯარიმა **1000 (ათასი) ლარის** ოდენობით არ აქვს გადახდილი და საქმეზე მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ **დ------ კ----------** მიმართ განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის საფუძველზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225-ე, 258-260-ე, 268-269-ე, 271-274-ე, 277-279-ე, 292-293-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დ------ კ---------- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 11[1], 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - **თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით.**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქოს წინა, **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის განაჩენით** დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და განაჩენთა ერთობლიობით, **დ------ კ----------ს** საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს **თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით.**

დ------ კ---------- მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდეს.

დ------ კ----------ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან **2020 წლის 3 დეკემბრიდან.**

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნივთმტკიცება:

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გადაღებული ფოტომასალა ერთ ცალ დისკად **- შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.**

განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №32), სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: თათია გოგოლაური